ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №104915

ნომერი: AR133195

თარიღი : 26.03.2012

გაცემის თარიღი : 02.04.2012

გაცნობის თარიღი : 06.04.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

სტანისლავსკის 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ცხვედიანი პ/ნ 01024026453
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 17

ორგანიზაცია:

- შპს დიდუბე გრანდი კოდი: 202451328

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენი განცხადება და განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ I კლასის მახასიათებლი ობიექტის პარამეტრებია: 60 კვ.მ-მდე ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით გაზრდილია საპროექტო ობიექტების სიმაღლე 5.0 მეტრის ნაცვლად შეადგენს –6,59 მეტრს, აღნიშნულის საფუძველზე ვინაიდან თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით უკვე არ განეკუთვნება I კლასის მახასიათებლების ობიექტს, საჭიროა ესკიზური ვარიანტი მოყვანილი იქნას კლასის მახასიათებელთან შესაბამისობაში (მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან არ უნდა აღემატებოდეს 5.00 მეტრს) ან აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.